სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/36

ქ. თბილისი 18 მარტი 2025 წ.

სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2024/2025 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად ნინო ტეტუნაშვილის ასოცირებულ პროფესორად მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 მარტის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეულ იქნეს ნინო ტეტუნაშვილი ასოცირებულ პროფესორად დატვირთვით- მე-2 სემესტრი 60 სთ;
2. მოწვეული პროფესორის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 36 ლარის ოდენობით, მოწვეული ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება - საათში 27 ლარის ოდენობით, ხოლო ასისტენტ პროფესორის შრომის ანაზღაურება საათში 20,10 ლარის ოდენობით.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**